საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №61/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 03 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 31 ივლისის №61/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე, კერძოდ, 2015 წლიდან საჩივრის შეტანის დღემდე არ ჩატარებულა სასამართლო მთავარი სხდომა, მაშინ როდესაც მინიმუმ 10-ჯერ ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა.

ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მისი წარმომადგენლის შუამდგომლობები წლების განმავლობაში რეაგირების გარეშე დატოვა მოსამართლემ, რომლითაც ითხოვდა მოსარჩელეებისგან იმ ორდერის გამოთხოვას, რაზეც ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- და -- -- 2014 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და -- -- ადმინისტრაციის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მოთხოვნის აღდგენის მოთხოვნით (უკანონოდ ჩამორთმეული კუთვნილი საცხოვრებელი ბინების დაბრუნების მოთხოვნით).

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2014 წლის 23 სექტემბერს მიღებულ იქნა განჩინება, -- -- და -- -- სარჩელის განსჯადობით განსახილველად -- -- სასამართლოში

გადაგზავნის შესახებ.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2014 წლის 01 ოქტომბრის განჩინებით, -- -- და -- -- სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 02 დეკემბრის განჩინებით, -- -- და -- -- სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის განჩინებით, მოსარჩელეებს დაუდგინდათ ხარვეზი. 2015 წლის 26 იანვარს მოსარჩელეთა წარმომადგენლის მიერ დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 იანვრის განჩინებით, -- -- და -- -- სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 მარტის განჩინებით, ადმინისტრაციული საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა -- -- და -- -- განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 მაისის განჩინებით, მოსარჩელეებს სარჩელზე (დაზუსტებული სარჩელის ნაწილში) დაუდგინდათ ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 მაისის განჩინებით, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ -- -- უარი ეთქვა საქმეში თანამოსარჩელედ ჩაბმაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2015 წლის 10 ივნისს საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა. 2015 წლის 09 ივნისს მოსარჩელეთა წარმომადგენლის მიერ დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა. 2015 წლის 29 ივნისს მოსარჩელეთა წარმომადგენლის მიერ დაზუსტდა სასარჩელო მოთხოვნა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 06 ივლისის განჩინებით, მოსარჩელეების სარჩელი (დაზუსტებული სარჩელის ნაწილში) მიღებულ იქნა წარმოებაში.

შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, 2015 წლის 13 ივლისს საქმე გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 მარტის განჩინებით, საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 27 აპრილს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2016 წლის 27 აპრილს საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის განჩინებით, მოსარჩელის - -- -- გარდაცვალების გამო, შეჩერდა საქმის წამოება უფლებამონაცვლის დადგენამდე, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებით, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნენ -- -- და -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 02 დეკემბრის განჩინებით, საქმეზე დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2016 წლის 19 დეკემბერს. 2016 წლის 19 დეკემბერს და 2017 წლის 16 იანვარს საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 ივლისის მიმართვის საფუძველზე, -- -- სასამართლოს კოლეგიებში დადგენილი ვიწრო სპეციალიზაციის შეცვლასთან დაკავშირებით, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2018 წლის 31 იანვარს საქმეზე

ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 06 თებერვლის განჩინებით, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ -- -- გარდაცვალების გამო, შეჩერდა საქმის წარმოება უფლებამონაცვლის დადგენამდე, არაუმეტეს ერთი წლისა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინებით, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ -- -- უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა -- --. 2018 წლის 16 ნოემბერს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა.

-- --, -- -- და -- -- 2018 წლის 17 დეკემბერს დაზუსტებული სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 18 დეკემბრის განჩინებით, დაზუსტებულ სარჩელზე დადგინდა ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, დაზუსტებულ სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული.

2019 წლის 20 თებერვალს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 20 თებერვალს განჩინებით, -- -- მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსარჩელე -- -- ნაწილში სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად.

საქმის მასალებში წარმოადგენილია მესამე პირის - -- -- წარმომადგენლის 2019 წლის 03 მაისის განცხადება-შუამდგომლობით დასათაურებული დოკუმენტი, სადაც განმცახდებელი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეებმა ვერ წარმოადგინეს ორდერის დედანი დოკუმენტი, ასევე ვერ იქნა დასაბუთებული დავის იურიდიული ინტერესი, რომლის გარეშეც ადმინისტრაციული დავა არ დაიშვება. წარმოდგენილი დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე სახის მოთხოვნას სასამართლოს წინაშე დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე, მათ შორის ორდერის დედანი დოკუმენტის მოსარჩელე მხარისთვის წარმოდგენის დავალებასთან დაკავშირებით, რაზეც საჩივრის ავტორი მითითებს.

2019 წლის 05 აპრილს, 07 მაისს და 11 ივნისს გაიმართა მოსამზადებელი სხდომა.

2.2. ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლე -- --:

1. 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 587 საქმე, საიდანაც დასრულდა - 365 საქმე (62%), ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე - 344 საქმე, საიდანაც დასრულდა - 344 საქმე (100%),
2. 2018 წლის (01/01/2018 – 01/09/2018) მდგომარეობით განსახილველად ეწერა 294 საქმე, საიდანაც დასრულდა - 187 საქმე (64%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 31 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 03 აპრილის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ საქართველოს

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო ვადებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ისე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქმე ბოლო დაზუსტებული სარჩელის წარმოებაში მიღებიდან დასკვნის მომზადების ეტაპამდე მოსამართლის წარმოებაში იმყოფებოდა 7 თვე და 4 დღე. აღსანიშნავია, რომ პირველადი სარჩელის მოსამართლე -- -- გადაცემის მომენტიდან დასკვნის მომზადების პერიოდამდე საქმე მოსამართლის წარმოემაში იმყოფებოდა ჯამში 2 წელი და 19 დღე, თუმცა საქმეზე 06/02/2018-10/06/2018 პერიოდში შეჩერდა წარმოება, რამაც შეადგინა 7 თვე და 3 დღე.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო ვადის არსებით დარღვევაზე საუბრისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლეზე, დატვირთულობასა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლისა თუ მხარეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, საქმის მოცულობასა და განსაკუთრებულ სირთულეზე (ექვსი ტომი, ორი მოსარჩელე, ექვსი მოპასუხე, სამი მესამე პირად ჩაბმული პირი, ექვსჯერ დაზუსტებული სარჩელი და ცხრა სასარჩელო მოთხოვნა). ყოველივე ზემოაღნიშნული განსახილველ შემთხვევაში არ ქმნის საკმარის საფუძველს მოსამართლის მიერ საქმის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ვადების არსებითად დარღვევად მიჩნევისათვის.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების თანახმად, არ დადასტურდა მოსამართლე -- -- წინაშე დოკუმენტის გამოთხოვის თაობაზე მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენების ფაქტი, შესაბამისად,

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

ასეთი შუამდგომლობის განუხილველობის ან დაუკმაყოფილებლობის ფაქტი. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №61/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი